სპეციალური საგამოძიებო სამსახური

საქმიანობის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 9 თვე

1 მარტი - 30 ნოემბერი

2022 წ.

სარჩევი

9 თვის სტატისტიკური მაჩვენებელი....3

,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა 9

I. მიღებული შეტყობინებები 9

II. გამოძიების დაწყება....14

III. სავარაუდო მსხვერპლები 20

IV. შესაძლო დანაშაულის გარემოებები....21

V. სისხლისსამართლებრივი დევნა....23

VI. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები 23

VII. გამოძიების შეწყვეტა....24

VIII. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი....25

,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა 26

I. მიღებული შეტყობინებები 26

II. გამოძიების დაწყება....29

III. სავარაუდო მსხვერპლები 34

IV. შესაძლო დანაშაულის გარემოებები....35

V. სისხლისსამართლებრივი დევნა....36

VI. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები 36

VII. გამოძიების შეწყვეტა....37

VIII. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი....37

,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა....39

I. მიღებული შეტყობინებები 39

II. გამოძიების დაწყება....41

III. სავარაუდო მსხვერპლები 43

IV. შესაძლო დანაშაულის გარემოებები 45
V. სისხლისსამართლებრივი დევნა 46
VI. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები 46
VII. გამოძიების შეწყვეტა 47
VIII. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი 47
დასაბუთებული წინადადებები გენერალურ პროკურატურას 48

9 თვის სტატისტიკური მაჩვენებელი[1]

2022 წლის 9 თვის განმავლობაში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შემოვიდა **2257** შეტყობინება. აქედან 66% (**1499** შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, 19% (**425** შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ, ხოლო 15% (**333** შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ.

აღნიშნული **2257** შეტყობინებიდან **1831** შეტყობინება (81%) შეეხებოდა ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა" და ,,ბ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სავარაუდო დანაშაულებს,[2] **50** შეტყობინება (2%) შეეხებოდა ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სავარაუდო დანაშაულებს,[3] **153** შეტყობინება (7%) შეეხებოდა ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ სავარაუდო დანაშაულებს,[4] ხოლო **223** შეტყობინება (10%) წარმოადგენდა არაქვემდებარე შეტყობინებას.[5]

---

[1] იგულისხმება 2022 წლის 1-ლი მარტიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი;

[2] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულები;

[3] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები;

[4] იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული;

[5] არაქვემდებარე შეტყობინებად აღირიცხება ის შეტყობინებები, რომლებიც შეტყობინების შემოსვლის ეტაპზე არ შეიცავს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ დანაშაულის ნიშნებს.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



2022 წლის 9 თვის განმავლობაში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო **378** სისხლის სამართლის საქმეზე. აქედან, **313** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, **19** სისხლის სამართლის საქმე გამოიყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებული საქმიდან, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოიგზავნა **42** სისხლის სამართლის საქმე. ხოლო **4** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო მასმედია/სოციალური ქსელით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.

აღნიშნული 378 საქმიდან, იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტები, გამოძიება დაიწყო 212 სისხლის სამართლის საქმეზე. იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი, გამოძიება დაიწყო 50 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური

საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, გამოძიება დაიწყო 116 სისხლის სამართლის საქმეზე.



აღნიშნული 378 სისხლის სამართლის საქმიდან, 281 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო აღმოსავლეთის სამმართველოში, 55 სისხლის სამართლის საქმეზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში, 42 სისხლის სამართლის საქმეზე - დასავლეთის სამმართველოში.



2022 წლის 9 თვეში გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ 55 პირის მიმართ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ 48 სისხლის სამართლის საქმეზე.



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სამმართველოების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად:



სისხლისსამართლებრივი დევნა 32 შემთხვევაში დაიწყო მოქალაქის მიმართ (საიდანაც 1 მოქალაქე იყო პატიმარი), ხოლო 23 შემთხვევაში - საჯარო მოხელის მიმართ.



ბრალდებულთა თანამდებობები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ბრალდებულად ცნობილ პირთა თანამდებობა



,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა[6]

I. მიღებული შეტყობინებები

2022 წლის 9 თვეში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტები, შემოვიდა 1831 შეტყობინება. აქედან 66% (1211 შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, 19% (351 შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ, ხოლო 15% (269 შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ.

[6] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის 144^1–144^3 მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



ყველაზე დიდი ნაწილი (70%) შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ზოგიერთ შემთხვევაში, ერთსა და იმავე ფაქტზე შეტყობინება შემოვიდა რამდენიმე წყაროდან.[7]

მიღებული შეტყობინებების ავტორები



[7] რიგ შემთხვევებში, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ერთი და იგივე შეტყობინება შემოდის რამდენიმე წყაროდან. სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის მიზნით, ასეთ შემთხვევებში შეტყობინება

მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირება

საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული **1831** შეტყობინება შეეხებოდა **1918** პირს (რიგ შემთხვევებში, ერთი შეტყობინება მოიცავდა ქმედებას არა ერთი, არამედ რამდენიმე პირის მიმართ).

შემოსული შეტყობინებებიდან სავარაუდო მსხვერპლთა **60**%-ის (1142 პირი) მიმართ შეტყობინებები **არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს**, **13**%-ის (242 პირი) მიმართ **დაიწყო გამოძიება, 9**%-მა (183 პირი) **უარყო** შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია, **8**%-ის (157 პირი) შემთხვევაში შეტყობინება **წარმოადგენდა დამატებით ინფორმაციას** გამოძიებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ან/და სხვა უკვე მიღებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით, **6**%-ის (112 პირი) მიმართ შემოსული შეტყობინებები **გადაიგზავნა სხვა უწყებაში,** ვინაიდან არ განეკუთვნებოდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციას, ხოლო **4**%-ის (82 პირი) მიმართ შემოსულ შეტყობინებებზე **მიმდინარეობს წარმოება.**

მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირება

(დათვლილია სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით)



მიეთვლება ყველა შესაბამის უწყებას/წყაროს. ამის გათვალისწინებით, შემოსულ შეტყობინებათა ავტორების ჯამური მაჩვენებელი აღემატება სამსახურში შემოსულ შეტყობინებათა საერთო რაოდენობას.

საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები **1918** სავარაუდო მსხვერპლიდან გაესაუბრნენ **1474** სავარაუდო მსხვერპლს. **63**%-თან გასაუბრება ჩატარდა შეტყობინების მიღებიდან იმავე ან მეორე დღეს[8].



მხოლოდ ცხელი ხაზით მიღებული შეტყობინებების შემთხვევაში ფიქსირდება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეტყობინების შემოსვლის ზუსტი დრო. ცხელი ხაზის საშუალებით მიღებული შეტყობინებების საფუძველზე სულ **419** სავარაუდო მსხვერპლს გაესაუბრნენ იმავე დღეს. კერძოდ, 86 სავარაუდო მსხვერპლს გაესაუბრნენ შეტყობინების მიღებიდან **1** საათში, 27 სავარაუდო მსხვერპლს - **2** საათში; 47 სავარაუდო მსხვერპლს - **3** საათში; 55 სავარაუდო მსხვერპლს - **5** საათში; 25 სავარაუდო მსხვერპლს - **8** საათში, 56 სავარაუდო მსხვერპლს - **10**

[8] სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრება შეტყობინების შემოსვლიდან რამდენიმე დღის (კვირის) შემდგომ, ძირითადად განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: ვერ ხერხდებოდა სავარაუდო მსხვერპლთან დაკავშირება - არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს, არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ მისამართზე და ოჯახის წევრებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მისი ადგილსამყოფელის შესახებ; სავარაუდო მსხვერპლს სჭირდებოდა დრო ადვოკატის ასაყვანად; სავარაუდო მსხვერპლი გარკვეული პერიოდის განმავლობაში უარს აცხადებდა გასაუბრებაზე; შეტყობინებაში არ ფიქსირდებოდა სავარაუდო მსხვერპლის საკონტაქტო ინფორმაცია, შესაბამისად, საკონტაქტო ინფორმაციის მოძიების შემდგომ მოხდა მასთან დაკავშირება.

საათში, 38 სავარაუდო მსხვერპლს - **12** საათში, 15 სავარაუდო მსხვერპლს - **16** საათში, 22 სავარაუდო მსხვერპლს - **18** საათში, 29 სავარაუდო მსხვერპლს - **20** საათში, ხოლო 19 სავარაუდო მსხვერპლს - **23** საათში[9].



II. გამოძიების დაწყება

2022 წლის 9 თვეში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა" და ,,ბ" ქვეპუნქტები, გამოძიება დაიწყო სულ **212 სისხლის სამართლის საქმეზე,** საიდანაც 201 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, 5 საქმე გადმოიგზავნა უწყებრივი ქვემდებარეობით, ხოლო 6 სისხლის სამართლის საქმე გამოიყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებული საქმიდან.

აღნიშნული 212 სისხლის სამართლის საქმიდან, 154 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო აღმოსავლეთის სამმართველოში, 37 სისხლის სამართლის საქმეზე - აჭარის

[9] სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრების დროის სტატისტიკის წარმოება დაიწყო აპრილის თვიდან, შესაბამისად ანგარიშში ასახულია რვა თვის მონაცემი (აპრილი-ნოემბერი).

ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში, ხოლო 21 სისხლის სამართლის საქმეზე - დასავლეთის სამმართველოში.

უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოგზავნილი 5 სისხლის სამართლის საქმიდან, 2 საქმე გადმოიგზავნა იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან (გამოძიება გაგრძელდა აღმოსავლეთის სამმართველოში), 1 საქმე გადმოიგზავნა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტიდან (გამოძიება გაგრძელდა დასავლეთის სამმართველოში), 1 საქმე - ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოდან (გამოძიება გაგრძელდა აღმოსავლეთის სამმართველოში), 1 საქმე - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან (გამოძიება გაგრძელდა აღმოსავლეთის სამმართველოში).

2 სისხლის სამართლის საქმე გადმოიგზავნა გამოძიების დაწყებიდან მე-2 დღეს, 1 საქმე - გამოძიების დაწყებიდან 1 კვირაში, 1 საქმე - გამოძიების დაწყებიდან 1 თვეში, 1 საქმე - გამოძიების დაწყებიდან 2 თვეში.

6 გამოყოფილი სისხლის სამართლის საქმიდან 4 საქმე გადაიგზავნა სხვა უწყებაში. კერძოდ, 3 საქმე შემდგომი გამოძიების მიზნით გადაიგზავნა საქართველოს პროკურატურაში, 1 საქმე გადაიგზავნა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის მიზნით, ხოლო 2 საქმე დარჩა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში.



დანაშაულის ნიშნების შემცველ შეტყობინებათა ყველაზე მეტი რაოდენობა შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

შეტყობინებათა ავტორები, რომელზეც დაიწყო გამოძიება





დანაშაულის კვალიფიკაცია

სისხლის სამართლის საქმეთა უმეტეს ნაწილზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.



აღნიშნული 212 სისხლის სამართლის საქმიდან 1 სისხლის სამართლის საქმეზე პროკურორის მიერ შეიცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, კვალიფიკაციის შეცვლის შემდეგ, გამოძიება გაგრძელდა სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით.

III. სავარაუდო მსხვერპლები

სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა" და ,,ბ" ქვეპუნქტებით, ფიგურირებს სულ **235** სავარაუდო მსხვერპლი. აქედან, 221 (94%) პირი არის მამრობითი, ხოლო 14 (6%) პირი - მდედრობითი სქესის.

სავარაუდო მსხვერპლთა 2% არასრულწლოვანია, ხოლო 98% - სრულწლოვანი.



სავარაუდო მსხვერპლთა 29% არის ადმინისტრაციული წესით დაკავებული, 26% - დაკავებული ბრალდებული, 16% - მოქალაქე, 12% - თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული, 9% -

პატიმარი ბრალდებული, 6% - მოწმე, 0.5% - ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირი, 0.5% - ადვოკატი, 0.5% - არადაკავებული ბრალდებული და 0.5% - არადაკავებული ადმინისტრაციულ სახდელდადებული.

სავარაუდო მსხვერპლთა საპროცესო სტატუსი



IV. შესაძლო დანაშაულის გარემოებები

სავარაუდო მსხვერპლთა 77% შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირებად ასახელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს, 21% - სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელს, 1% - სსიპ ,,ეროვნული სატყეო სააგენტოს“ თანამშრომელს, 0.5% -

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს, ხოლო 0.5% - სასამართლოს მანდატურის სამსახურის თანამშრომელს.[10]



სავარაუდო მსხვერპლთა 47%-მა (უმრავლესობამ) დანაშაულის ჩადენის ადგილად დაასახელა თბილისი. 18%-მა - აჭარა, 12%-მა - ქვემო ქართლი, 8%-მა - იმერეთი, 5%-მა - კახეთი, 3.5%-მა - მცხეთა-მთიანეთი, 2.5%-მა - შიდა ქართლი, 2%-მა - სამცხე-ჯავახეთი, ხოლო 1%-1%-მა - სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია.

[10] რიგ შემთხვევებში, სავარაუდო მსხვერპლთა მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩამდენ უწყებად დაფიქსირდა რამდენიმე დანაყოფი, შესაბამისად, უწყებათა რაოდენობა აღემატება მსხვერპლთა რაოდენობას.



V. სისხლისსამართლებრივი დევნა

2022 წლის 9 თვეში, გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 8 პირის მიმართ იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა" და ,,ბ" ქვეპუნქტებით.

VI. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული 8 ბრალდებულიდან გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა 7 პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე (1 პირი იყო პატიმარი და მის მიმართ არ იქნა მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება და მხოლოდ განისაზღვრა წინასასამართლო სხდომის თარიღი). 2 ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი გირაო, დაკმაყოფილდა და მათ აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ გირაო. 5 პირის მიმართ მოთხოვნილი პატიმრობიდან სასამართლომ დააკმაყოფილა მხოლოდ 2 ბრალდებულის მიმართ და მათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა, ხოლო 3 ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახე არ დააკმაყოფილა და მათ მიმართ გამოიყენა გირაო (2 შემთხვევაში - გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით).

VII. გამოძიების შეწყვეტა

2022 წლის 9 თვეში. გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით, გამოძიება შეწყვიტა 44 სისხლის სამართლის საქმეზე, საიდანაც 1-ზე გამოძიება დაწყებული იყო 2019 წელს, 6-ზე - 2020 წელს, 24-ზე - 2021 წელს, ხოლო 13-ზე - 2022 წელს.

ზემოაღნიშნულ 44 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება მიმდინარეობდა შემდეგი მუხლებით:

- 37 სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით;

- 4 სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“, ,,ბ“, ,,ე“, ,,ზ“ ქვეპუნქტებით;
- 1 სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.
- 2 სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“, ,,ბ“, ,,ზ“ ქვეპუნქტებით.

VIII. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი

2022 წლის 9 თვეში, , სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტები, გამოძიება დაიწყო სულ 212 სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც სულ 235 სავარაუდო მსხვერპლია. აქედან, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი გამოიკვეთა 4 სისხლის სამართლის საქმეში, 4 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ.

ორ შემთხვევაში სავარაუდო მსხვერპლთა მიმართ ქმედება განხორციელდა ეთნიკური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ხოლო ორ შემთხვევაში - სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით:

- 2 სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც გამოიკვეთა ეთნიკური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;
- 2 სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც გამოიკვეთა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, გამოძიება მიმდინარეობს შემდეგი მუხლებით:
  - 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.
  - 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

1 შემთხვევაში დაზარალებული თავად არ თანამშრომლობს გამოძიებასთან, შესაბამისად დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი უცნობია.

,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა[11]

I. მიღებული შეტყობინებები

2022 წლის 9 თვეში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილ იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, შემოვიდა **50** შეტყობინება. აღნიშნული შეტყობინებების 58% (**29** შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, 28% (**14** შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, ხოლო 14% (**7** შეტყობინება) - აჭარის სამმართველომ.

[11] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი საქართველოს სსკ-ის 108-ე, 109-ე, 111-ე, 113-ე–118-ე, 120-ე–124-ე, 126-ე, 126[1], 137-ე–139-ე, 143-ე–144-ე და 150-ე–151[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



შეტყობინებათა უმეტესობა (71%) შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ზოგიერთ შემთხვევაში, ერთსა და იმავე ფაქტზე შეტყობინება შემოვიდა რამდენიმე წყაროდან.[12]

[12] რიგ შემთხვევებში, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ერთი და იგივე შეტყობინება შემოდის რამდენიმე წყაროდან. სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის მიზნით, ასეთ შემთხვევებში შეტყობინება მიეთვლება ყველა შესაბამის უწყებას/წყაროს. ამის გათვალისწინებით, შემოსულ შეტყობინებათა ავტორების ჯამური მაჩვენებელი აღემატება სამსახურში შემოსულ შეტყობინებათა საერთო რაოდენობას.

მიღებული შეტყობინებების ავტორები



მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირება

საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული 50 შეტყობინება შეეხებოდა **53** პირს.

შემოსული შეტყობინებებიდან სავარაუდო მსხვერპლთა 34%-ის (**18** პირი) მიმართ **დაიწყო გამოძიება,** 36%-ის (19 პირი) მიმართ შეტყობინებები **არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს,** 11% (**6** პირი) მიმართ შემოსული შეტყობინებები **გადაიგზავნა სხვა უწყებაში** ვინაიდან არ განეკუთვნებოდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციას, 9%-მა (**5** პირი) **უარყო** შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია, 8%-ის (**4** პირი) შემთხვევაში შეტყობინება **წარმოადგენდა დამატებით ინფორმაციას** გამოძიებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ან/და სხვა უკვე მიღებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით, 2%-ზე (**1** პირი) **მიმდინარეობს წარმოება.**



II. გამოძიების დაწყება

2022 წლის 9 თვეში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტი, გამოძიება დაიწყო **50 სისხლის სამართლის საქმეზე.** აქედან, **21** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინების საფუძველზე. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეებიდან 13-ზე გამოძიება დაიწყო საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველოში, 4-ზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში, ხოლო 4-ზე - დასავლეთის სამმართველოში. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში უწყებრივი ქვემდებარეობით შინაგან საქმეთა სამინისტროდან გადმოიგზავნა **24** სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეებიდან 21-ზე გამოძიება გაგრძელდა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველოში, 2-ზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში, ხოლო 1-ზე - დასავლეთის სამმართველოში. 9 სისხლის სამართლის საქმე გადმოიგზავნა გამოძიების დაწყებიდან იმავე დღეს, 3 სისხლის სამართლის

საქმე - მე-2 დღეს, 5 სისხლის სამართლის საქმე - მე-3 დღეს, 2 სისხლის სამართლის საქმე - მე-4 დღეს, 1 სისხლის სამართლის საქმე - მე-6 დღეს, 1 სისხლის სამართლის საქმე - მე-7 დღეს, 1 სისხლის სამართლის საქმე - მე-14 დღეს, 1 სისხლის სამართლის საქმე - 27-ე დღეს, ხოლო 1 სისხლის სამართლის საქმე - 1 თვეზე მეტი ხნის ვადაში.

5 სისხლის სამართლის საქმე გამოიყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებული საქმიდან. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება გაგრძელდა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველოში.

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე 7 შეტყობინება შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული დანაყოფიდან, 5 შეტყობინება - შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, 2 შეტყობინება - შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-დან, 2 შეტყობინება - საქართველოს პროკურატურიდან, ხოლო 5 შეტყობინების ავტორი იყო ფიზიკური პირი/მოქალაქე.

შეტყობინებათა ავტორები, რომელზეც დაიწყო გამოძიება



დანაშაულის კვალიფიკაცია

ზემოაღნიშნული საქმეებიდან **3** სისხლის სამართლის საქმე უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოიგზავნა 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, **1** სისხლის სამართლის საქმე - 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, **1** სისხლის სამართლის საქმე - 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, **6** სისხლის სამართლის საქმე - 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, **1** სისხლის სამართლის საქმე - 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, **1** სისხლის სამართლის საქმე - 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, **1** სისხლის სამართლის საქმე - 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, **1** სისხლის სამართლის საქმე - 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, **2** სისხლის სამართლის საქმე - 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, **1** სისხლის სამართლის საქმე - 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილითა და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, **3** სისხლის სამართლის საქმე - 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, **2** სისხლის სამართლის საქმე - 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო **1** სისხლის სამართლის საქმეზე - 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

2 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, **1** სისხლის სამართლის საქმეზე - 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით, **1** სისხლის სამართლის საქმეზე - 126-ე მუხლის 1-ლი და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილებით, **2** სისხლის სამართლის საქმეზე - 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, **1** სისხლის სამართლის საქმეზე - 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, **4** სისხლის სამართლის საქმეზე - 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით,

5 სისხლის სამართლის საქმეზე - 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, **1** სისხლის სამართლის საქმეზე - 124-ე მუხლით, **1** სისხლის სამართლის საქმეზე - 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, **1** სისხლის სამართლის საქმეზე - 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, **1** სისხლის სამართლის საქმეზე - 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილითა და მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო **1** სისხლის სამართლის საქმეზე - 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

1 სისხლის სამართლის საქმე[13] გამოიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტებით, **1** სისხლის სამართლის საქმე[14] - 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (3 ეპიზოდი) და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (2 ეპიზოდი), **1** სისხლის სამართლის საქმე - 126[1] პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, **1** სისხლის სამართლის საქმე - 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო **1** სისხლის სამართლის საქმე - 108-ე მუხლით.

[13] აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე ქვემდებარეობით გადაიგზავნა სხვა უწყებაში.

[14] აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე ქვემდებარეობით გადაიგზავნა სხვა უწყებაში.

გამოძიების დაწყებისას ქმედებისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია



აღნიშნული **50** სისხლის სამართლის საქმიდან, **5** სისხლის სამართლის საქმეზე პროკურორის მიერ შეიცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია. კერძოდ, **1** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, ხოლო კვალიფიკაციის შეცვლის შემდგომ, გამოძიება გაგრძელდა 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) და 11'-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით. **1** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და კვალიფიკაციის შეცვლის შემდგომ გამოძიება გაგრძელდა 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. **1** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო 126[1] მუხლის პირველი ნაწილითა და 11[1] 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით და კვალიფიკაციის შეცვლის შემდგომ გამოძიება გაგრძელდა 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (4 ეპიზოდი), 126 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით (3 ეპიზოდი) და 11[1] 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. **1** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და კვალიფიკაციის

შეცვლის შემდგომ გამოძიება გაგრძელდა 126[1]მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით. 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და კვალიფიკაციის შეცვლის შემდგომ გამოძიება გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

III. სავარაუდო მსხვერპლები

2022 წლის 9 თვეში, გამოძიებადაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი, **ფიგურირებს სულ 56 სავარაუდო მსხვერპლი,** მათგან **32** არის მამრობითი, ხოლო **24** მდედრობითი სქესის.



სავარაუდო მსხვერპლთა 9% აარასრულწლოვანია, ხოლო 91% - სრულწლოვანი.



IV. შესაძლო დანაშაულის გარემოებები

სავარაუდო მსხვერპლებმა დანაშაულის ჩადენის ადგილად 22 შემთხვევაში დაასახელეს თბილისი, 5 შემთხვევაში - ქვემო ქართლი, 1 შემთხვევაში - იმერეთი, 3 შემთხვევაში - სამეგრელო-ზემო სვანეთი, 8 შემთხვევაში - შიდა ქართლი, 5 შემთხვევაში - აჭარა, 9 შემთხვევაში - კახეთი, 1 შემთხვევაში - გურია, 1 შემთხვევაში - რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ხოლო 1 შემთხვევაში - მცხეთა-მთიანეთი.



V. სისხლისსამართლებრივი დევნა

2022 წლის 9 თვეში, გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **15** პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტით.

VI. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული 15 ბრალდებულიდან გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. 5 ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი გირაო დაკმაყოფილდა. 10 პირის მიმართ მოთხოვნილი პატიმრობიდან, სასამართლომ დააკმაყოფილა მხოლოდ 5 ბრალდებულის მიმართ და მათ აღკვეთის ღონისძიების სახით

პატიმრობა შეუფარდა, ხოლო 5 ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახე არ დააკმაყოფილა და მათ მიმართ გირაო გამოიყენა.

VII. გამოძიების შეწყვეტა

2022 წლის 9 თვეში, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა 5 სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნულ ხუთივე საქმეზე გამოძიება დაიწყო 2022 წელს.

აღნიშნული საქმეებიდან 3 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, ხოლო 2-ზე - პროკურორის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ბრალდებაზე უარის თქმის გამო (გამოყენებულია განრიდება).

VIII. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი

2022 წლის 9 თვეში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტი, გამოძიება დაიწყო **50** სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც სულ **56** სავარაუდო მსხვერპლი გამოიკვეთა. აქედან, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი გამოიკვეთა **8** სისხლის სამართლის საქმეში, **8** სავარაუდო მსხვერპლის მიმართ. რვავე შემთხვევაში სავარაუდო მსხვერპლთა მიმართ ქმედება განხორციელდა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით. 1 სისხლის სამართლის საქმეში, არსებობს თუ არა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, ამ ეტაპზე, უცნობია.

8 სისხლის სამართლის საქმიდან, სადაც გამოიკვეთა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, გამოძიება მიმდინარეობს 7 სისხლის სამართლის საქმეზე შემდეგი მუხლებით:

- 2 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილებით. ბრალი წარედგინა[15] 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (6 ეპიზოდი) და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო ბრალი[16] წარედგინა 126-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით;
- 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო ბრალი17 წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 126 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით (2 ეპიზოდი) და სსკ-ის 11 პრიმა - 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით;
- 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

1 სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად გაიგზავნა სასამართლოში. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო ბრალი წარედგინა[18] ამავე მუხლით, ორ ეპიზოდზე.

---

[15] აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაშიც არის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ასახული.

[16] აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაში არ არის მითითებული გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.

[17] აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაშიც არის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ასახული.

[18] აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაში არ არის მითითებული გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.

,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა[19]

I. მიღებული შეტყობინებები

2022 წლის 9 თვეში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4] მუხლები), შემოვიდა 153 შეტყობინება. აქედან 69% (106 შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, 16% (24 შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, ხოლო 15% (23 შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



[19] იგულისხმება სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირება

საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული 153 შეტყობინება შეეხებოდა **182** პირს (რიგ შემთხვევებში, ერთი შეტყობინება მოიცავდა ქმედებას არა ერთი, არამედ რამდენიმე პირის მიმართ).

შემოსული შეტყობინებებიდან სავარაუდო მსხვერპლთა 45%-ის (81 პირი) მიმართ **დაიწყო გამოძიება,** შეტყობინებების 31% (**56** პირი) **არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს,** 17% (**31** პირი) **გაიგზავნა სხვა უწყებაში** რეაგირებისთვის, შეტყობინებების 3% (6 პირი) **დაერთო** სისხლის სამართლის საქმეს/პრე საქმეს, 2%-ის (**4** პირი) მიმართ **მიმდინარეობს წარმოება,** ხოლო 2%-მა (**4** პირი) უარყო შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია.

მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირება
(დათვლილია სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით)



II. გამოძიების დაწყება

2022 წლის 9 თვეში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტი (სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4] მუხლები), გამოძიება დაიწყო **116** სისხლის სამართლის საქმეზე, რომელთაგან **91** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, **13** სისხლის სამართლის საქმე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, **8** საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის დადგენილების საფუძველზე[20], **4** საქმეზე გამოძიება დაიწყო მასმედია/სოციალური ქსელით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული **116** სისხლის სამართლის საქმიდან, **88** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება წარიმართა აღმოსავლეთის სამმართველოში, **16** სისხლის სამართლის საქმეზე - დასავლეთის სამმართველოში, ხოლო **12** სისხლის სამართლის საქმეზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში.

[20] აღნიშნული 9 სისხლის სამართლის საქმიდან, 2 სისხლის სამართლის საქმე არსებითი განხილვის მიზნით წარიმართა სასამართლოში, 3 სისხლის სამართლის საქმე, უწყებრივი ქვემდებარეობით გადაიგზავნა სხვა უწყებაში.

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოგზავნილი **13** სისხლის სამართლის საქმიდან, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში **2** სისხლის სამართლის საქმე გადმოიგზავნა გამოძიების დაწყებიდან იმავე დღეს, **6** სისხლის სამართლის საქმე გადმოიგზავნა გამოძიების დაწყებიდან მე-2 დღეს, **1** სისხლის სამართლის საქმე - გამოძიების დაწყებიდან მე-3 დღეს, **2** სისხლის სამართლის საქმე - გამოძიების დაწყებიდან მე-5 დღეს, **1** სისხლის სამართლის საქმე - გამოძიების დაწყებიდან მე-8 დღეს და **1** სისხლის სამართლის საქმე - გამოძიების დაწყებიდან, დაახლოებით, 2 თვის ვადაში.

დანაშაულის კვალიფიკაცია

სისხლის სამართლის საქმეთა უმეტეს ნაწილზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157[1] მუხლით.[21]

[21] გრაფიკზე მოცემულია ყველა საქმის კვალიფიკაცია, მათ შორის უწყებრივი ქვემდებარეობით გადაგზავნის მიზნით გამოყოფილი საქმეები.

გამოძიების დაწყებისას ქმედებისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია



III. სავარაუდო მსხვერპლები

2022 წლის 9 თვეში, გამოძიებადაწყებულ და წარმოებაში გადმოცემულ სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4] მუხლები),

ფიგურირებს სულ **134**[22] სავარაუდო მსხვერპლი[23], რომელთაგან **90** არის მდედრობითი სქესის,[24] ხოლო, **44** - მამრობით სქესის.



134 სავარაუდო მსხვერპლიდან 19% (**26 პირი**) არის არასრულწლოვანი, ხოლო 81% (**108 პირი**) სრულწლოვანი.

[22] ამ მონაცემებში არ არის შეყვანილი 1 სავარაუდო მსხვერპლი, რომელიც, თავად იყო ბრალდებული სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეზე, თუმცა გამოკითხვისას განაცხადა, რომ მასზე იძალადეს ფიზიკურად. შესაბამისად მოხდა ახალი საქმის გამოყოფა 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ეს უკანასკნელი საქმე გადაიგზავნა სხვა უწყებაში.

[23] 3 სისხლის სამართლის საქმეზე დაუდგენელია მსხვერპლთა ვინაობა და რაოდენობა.

[24] მათ შორის, 2 ტრანსგენდერი ქალი.



IV. შესაძლო დანაშაულის გარემოებები

სავარაუდო მსხვერპლთა უმრავლესობამ დანაშაულის ჩადენის ადგილად დაასახელა თბილისი.



V. სისხლისსამართლებრივი დევნა

2022 წლის 9 თვეში, ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4] მუხლები) გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **32** პირის მიმართ. აღნიშნული **32** პირიდან -

VI. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული 32 ბრალდებულიდან გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა 30 პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე (2 პირს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ჰქონდა შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება და მათ მიმართ განისაზღვრა მხოლოდ წინასასამართლო სხდომის თარიღი). 24 ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი პატიმრობიდან, სასამართლომ დააკმაყოფილა მხოლოდ 17 ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახე და ბრალდებულებს შეუფარდა პატიმრობა, ხოლო 7 ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახე არ დააკმაყოფილა და მათ მიმართ გამოიყენა გირაო. გენერალური პროკურატურამ, 6 ბრალდებულზე მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება, რაც სასამართლოს მიერ 5 შემთხვევაში დაკმაყოფილდა, ხოლო, 1 პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიება არ იქნა გამოყენებული[25].

[25] აღკვეთის სხდომაზე პროკურორმა იშუამდგომლა პირის მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე, რაც დაკმაყოფილდა, შესაბამისად, სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი არ განუხილავს.

VII. გამოძიების შეწყვეტა

2022 წლის 9 თვეში, გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა 4 სისხლის სამართლის საქმეზე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტი (სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4] მუხლები), გამოძიება დაიწყო **116** სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც სულ **134** სავარაუდო მსხვერპლი გამოიკვეთა. აქედან, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი გამოიკვეთა **9** სისხლის სამართლის საქმეში, **25** სავარაუდო მსხვერპლის მიმართ. **29** სავარაუდო მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის არსებობა უცნობია.

9 სისხლის სამართლის საქმიდან:

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც გამოიკვეთა რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი 10 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ, გამოძიება მიმდინარეობდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით;
- 2 სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც გამოიკვეთა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი 2 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ, გამოძიება მიმდინარეობდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლით;
- 1 სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც გამოიკვეთა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი 1 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 157-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით;
- 1 სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც გამოიკვეთა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი 1 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ, გამოძიება მიმდინარეობს 159-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;
- 3 სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც გამოიკვეთა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი 3 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ, გამოძიება მიმდინარეობს 157-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით;
- 1 სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც გამოიკვეთა რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი 8 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ, გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით.

დასაბუთებული წინადადებები გენერალურ პროკურატურას

2022 წლის 9 თვეში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, პროკურატურას 14 დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აქედან, 8 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, ხოლო 6 წინადადება კი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას.



აღნიშნული 14 წინადადებიდან, სრულად დაკმაყოფილდა 11 წინადადება, 2 წინადადება არ დაკმაყოფილდა (1 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, ხოლო 1 წინადადება - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას), ხოლო 1 წინადადება, რომელიც შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.


წინადადებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი
11
2
1
დაკმაყოფილდა
არ დაკმაყოფილდა
დაკმაყოფილდა ნაწილობრივ